

11. რიბიჩი (RIBITSCH) ავსტრიის წინააღმდეგ

4 დეკემბერი, 1995 წელი

არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აპრპალვა (მმ-3 მუხლი).

ბირითადი ფაქტები:

ავსტრიის მოქალაქის რიბიჩის ბინაში პოლიციის თანამშრომლებმა ჩაატარეს ჩხრეკა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელიც აღიძრა პეროინის დიდი ღოზის მიღების გამო ორი ადამიანის სიკვდილის ფაქტზე.

1988 წლის 31 მაისს, შუადღით, განმცხადებელი და მისი მეუღლე დააპატიმრეს ნარკოტიკების უკანონო ბრუნვაში მათი მონაწილეობის ეჭვის საფუძველზე. ისინი გაათავისუფლეს მეორე დღით. გაათავისუფლების შემდეგ განმცხადებელმა რამდენიმე პირს, მათ შორის ერთ ჟურნალისტს აცნობა პოლიციაში ყოფნის დროს მისდამი ცუდი მოპყრობის თაობაზე, კერძოდ იმის შესახებ, რომ პოლიციაში ის უხეშად შეურაცხვეს და მუქარით აიძულებდნენ აღიარებოდა ჩვენების მიცემას. გაათავისუფლების დღესვე რიბიჩის ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოკვლეულ იქნა ქ. მეიდლინგის საავადმყოფოში. მეორე დღეს კი ექიმმა - თერაპევტმა დაათვალიერა ის. საავადმყოფოს სამედიცინო დასკვნით დადგენილ იქნა რიბიჩის სხეულზე სისხლნაჟღენთების არსებობა, რაც ასევე დაადასტურა ექიმმა - თერაპევტმა; ჟურნალისტმა კი მოახდინა განმცხადებლის ტრავმების ფოტოგადაღება.

ამ ინციდენტის გახმაურების შემდეგ, პოლიციის თანამშრომლების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ქ. ვენის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა რიბიჩის ვერსია და ერთ-ერთ პოლიციელს მსჯავრი დასდო მოქ. რიბიჩისათვის სხეულის დაზიანების მიყენებისათვის, მიუსაჯა მას ორი თვით პატიმრობა და გაათავისუფლა სამსახურიდან.

მიწის სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს განაჩენი და გაამართლა პოლიციელი. სასამართლოს აზრით, პოლიციელის ვერსია, თითქოს რიბიჩმა სხეულის დაზიანება ავტომანქანის კარებზე შეჯახების დროს მიიღო, არ იყო გაბათილებული; ყოველ შემთხვევაში, პოლიციელის ბრალეულობა არ იყო სარწმუნოების ისეთი ხარისხით დასაბუთებული, რაც საკმარისი იქნებოდა სისხლის სამართლის წესით მისი მსჯავრდებისათვის.

განმცხადებლის სარჩელის საფუძველზე საკონსტიტუციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ რიბიჩისა და მისი მეუღლის დაპატიმრება,

ისევე, როგორც ორდერის გარეშე მათი ბინის ჩხრეკა იყო უკანონო, მაგრამ უარყო სარჩელი არასათანადო მოპყრობის თაობაზე.

სასამართლოს შეფასება:

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ყოველთვის ეკისრებოდა მორალური პასუხისმგებლობა პატიმრობაში მყოფ ნებისმიერ პირზე, რადგან იგი მთლიანად პოლიციის განკარგულებაში იმყოფებოდა. პატიმრობაში მყოფი პირის მიერ სხეულის დაზიანების მიღების შემთხვევაში, სახელმწიფო იყო ვალდებული წარმოედგინა მტკიცებულებები, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა დაზარალებულის ჩვენებებს, თავის მხრივ სრულად რომ შეესაბამებოდა სამედიცინო დასკვნებს; სახელმწიფო იყო ვალდებული დამაჯერებლად აეხსნა, თუ როდის, როგორ და რა ვითარებაში ჰქონდა დაზარალებულს აღნიშნული დაზიანებანი მიღებული.

საერთაშორისო სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობამ ვერ წარმოადგინა დამაჯერებელი მტკიცებულებები იმისა, რომ განმცხადებელმა დაზიანებები მიიღო სხვაგვარად, თუ არა ძალადობის შედეგად სასამართლომ მხედველობაში მიიღო ექიმ-თერაპევტის მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ ნაკლებად სავარაუდო იყო, დაზარალებულს იმდგვარი დაზიანებანი მანქანის კართან შეჯახების შედეგად მიეღო.

სასამართლომ განმარტა, რომ დაპატიმრებული პირის მიმართ ნებისმიერი ფიზიკური ძალადობა, როცა მისი გამოყენება უკიდურესად აუცილებელი არ არის საკუთრივ დაპატიმრებულის ქცევიდან გამომდინარე, წარმოადგენს მისი პირადი ღირსების დამცირებას და არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს.

სასამართლომ დაადგინა, რომ რიბინის მიერ მიღებული სხეულის დაზიანებები მოწმობდა მისდამი ისეთ მოპყრობას, რომელიც შეიძლება დახასიათებული ყოფილიყო, როგორც არასათანადო, არაადამიანური და ღირსების დამამცირებელი. შესაბამისად, სასამართლომ სცნო მე-3 მუხლის დარღვევა.

ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 6 ხმით 3-ის წინააღმდეგ. უმცირესობაში დარჩენილმა მოსამართლეებმა შეადგინეს განსხვავებული აზრი.

განსხვავებული აზრის არგუმენტი:

მოცემულ საქმეზე საერთაშორისო სასამართლო შეიჭრა ფაქტების შეფასების საკითხში, რაც ეროვნული სასამართლოების პრეროგატივას წარმოადგენდა. ასეთი შეჭრა მხოლოდ მაშინ ჩათვლებოდა გამართლებულად, თუ აშკარა იქნებოდა შეფასებების უსწორობა.